15.10.2024 წ.

ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი #29 -ში მდებარე,
ს/კ # 01.10.15.007.123 ასაშენებელი ავერსის კლინიკის
მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე ავერსის კლინიკა მდებარეობს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას #29 -ში მდებარე, ს/კ 01.10.15.007.123 შენობა 19 სართულიანია (მათ შორის 15 მიწისზედა, 4 მიწისქვეშა სართული და 1 ანტრესოლის სართულით).

მშენებარე შენობას ჩრდილოთის მხრიდან დაახლოებით 7 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 4 სართულიანი შენობა, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.15.008.017 და ასევე 1 სართულიანი ნაგებობები რომლებიც მდებარეობენ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.15.008.003; ჩრდილო-დასავლეთის მხარეს დაახლოებით 10 მეტრის მანძილზე ესაზღვრება 1 სართულიანი შენობები, რომლებიც მდებარეობენ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.15.008.006; ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს დაახლოებით 6 მეტრის მანძილზე ესაზღვრება საცხოვრებელი შენობა; სამხრეთის მხარეს დაახლოებით 12 მეტრის მანძილზე ესაზღვრება საცხოვრებელი შენობა, რომლებიც მდებარეობენ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.15.007.055; აღმოსავლეთის მხარეს დაახლოებით 1 მეტრის მანძილზე ესაზღვრება ერთსართულიანი შენობა რომლებიც მდებარეობენ მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.15.007.033

საცხოვრებელი შენობის გეგმარებითი პარამეტრები:

შენობა ღერძებში არის **30.750 X 72.100 მ**; მაქსიმაური მალი შეადგენს **L=8.50 მ.** შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა, მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით. სართულის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს **H=7.00 მ.** შენობის პირობითი ნიშნული - **±0.00**, პირობითი ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული **+464.76**

ნაგებობის დაფუძნების პირობები: სამშენებლო მოედნის (ს/კ 01.10.15.007.123) გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობა 1200 მმ იანი სისქის საძირკვლის ფილის მეშვეობით ეფუძნება ძირითად ქანს **ფენა-5 -ს (ქვიშაქვების და არგილიტების მონაცვლეობა) R_c=17.2 მპა**.

გავლენის შეფასება საპროექტო შენობის ჩრდილოეთ მხარეს ს/კ 01.10.15.008.017 მდებარე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობისთვის; ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ს/კ 01.10.15.008.006 მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობებისთვის; ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობისთვის; სამხრეთ მხარეს ს/კ 01.10.15.007.055 მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობისთვის და აღმოსავლეთ მხარეს მდებარე შენობისთვის, რომელიც მდებარეობს მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.10.15.007.033 გავლენის შესამცირებელ ღონისძიებად პროექტით გავალისწინებულია შენობის რკბ-ის საძირკვლის ფილის მეშვეობით კლდოვან ქანზე დასმა, რაც თავის მხრივ არ წარმოადგენს დატვირტვების გადამტანს. ქვაბულის გასამაგრებლად საჭიროა ქვაბულის გამაგრება ხიმინჯების მეშვეობით.

<u>დასკვნა:</u>

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში და ასევე პროექტით გათვალისწინებული ქვაბულის პროექტიდან გამომდინარე ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს (კერძოდ შემდეგ საკადასტრო კოდებზე მდებარე შენობა ნაგებობები: ს/კ 01.10.15.008.017, ს/კ 01.10.15.008.003, ს/კ 01.10.15.008.006; ს/კ 01.10.15.007.055; ს/კ 01.10.15.007.033 ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდებარე შენობას), როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

თ. მაცაბერიძე

ინჟინერ-კონსტრუქტორი: